დაიჯესტი

14-22 მაისი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

14 მაისს, ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ბუფალოში, 18 წლის შეიარაღებულმა, თეთრკანიანმა მამაკაცმა, პეიტონ გენდრონმა კონკლინიდან, ფერადკანიანებით დასახლებული უბნის ერთ-ერთ სუპერმარკეტში ცეცხლი გახსნა, რასაც 10 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო სამი დაიჭრა. ერთ-ერთი მსხვერპლი ყოფილი პოლიციელია, რომელიც სუპერმარკეტში უსაფრთხოების თანამშრომლად მუშაობდა. თავდამსხმელი სოციალურ ქსელში პირდაპირ ტრანსლაციას ახორციელებდა. ხელისუფლებამ ამას რასობრივად მოტივირებული ძალადობრივი ექსტრემიზმის აქტი უწოდა.

ოთხშაბათს, 18 მაისს, თეთრმა სახლმა მიიღო კანონმდებლობა, რომელიც სამ ფედერალურ უწყებაში შემქნის შიდა ტერორიზმის ოფისებს. აღნიშნული გადაწყვეტილება ბოლო წლებში ადგილობრივი ძალადობრივი ექსტრემიზმის ინციდენტების გაზრდითაა გამოწვეული.

ბუფალოს სუპერმარკეტში მასობრივი სროლიდან რამდენიმე დღეში გუბერნატორმა ქეით ჰოჩულმა 18 მაისს დაიწყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ნიუ-იორკის იარაღის შეძენის შესახებ კანონების გამკაცრების მიმართულებით.

შეერთებული შტატები მზადაა ხუთი ექსტრემისტული დაჯგუფება, რომლებიც მიჩნეულია უმოქმედოდ ამოიღოს უცხოური ტერორისტული ორგანიზაციების სიიდან. რამოდენიმე მათგანი მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა ათასობით ადამიანისთვის და წვლილი მიუძღოდა ხალხის აზიაში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში მკვლელობაში. ეს ორგანიზაციებია: ბასკების სამშობლო და თავისუფლება, იაპონური კულტი ალეფი, რადიკალური ებრაული ჯგუფი Kahane Kach და ორი ისლამური ჯგუფი, რომლებიც აქტიურობდნენ ისრაელში, პალესტინის ტერიტორიებსა და ეგვიპტეში.

პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა დაამტკიცა პენტაგონის მოთხოვნა სომალიში რამდენიმე ასეული ამერიკელი ჯარისკაცის განლაგების შესახებ, რასაც ეროვნულმა უშიშროების საბჭომ იქ „აშშ-ის მუდმივ სამხედრო ყოფნა, როგორც კონტრტერორისტული ძალისხმევის ნაწილი“ უწოდა. ეს ნაბიჯი აღადგენს ღია მისიას სომალიში, რომელიც დაეხმარება ქვეყანას ალ-შაბაბის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მამაკაცმა, კალიფორნიის ეკლესიის, ძირითადად ხანდაზმული ტაივანელი მრევლის შეკრებაზე, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა მამაკაცი, რომელმაც შეწინააღმდეგება სცადა. ტაივანში გაზრდილი 68 წლის დევიდ ჩოუ, ლას-ვეგასიდან, შაბათს მანქანით წავიდა ორანჯის ოლქში. მეორე დღეს, იგი დაესწრო ლანჩს, რომელიც გაიმართა ირვინის ტაივანის პრესვიტერიანულ ეკლესიაში. მიუხედავად იმისა, რომ იქ არავის იცნობდა, მან 40 დამსწრესთან ერთად დაახლოებით ერთი საათი გაატარა და შემდეგ განახორციელა თავდასხმა.

გაერთიანებული სამეფო

ბრიტანულმა პრესამ 18 მაისს გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც სამშაბათს მეტროპოლიტენის პოლიციის კონტრტერორისტული სარდლობის (CTC) ოფიცრებმა, 13 წლის მოზარდი დააკავეს დასავლეთ ლონდონში ისლამისტური ტერორისტული მასალის გავრცელების ბრალდებით. გაიჩხრიკა დაკავებული მოზარდის სახლი. იგი გირაოთი ივნისის შუა რიცხვებამდე გაათავისუფლეს.

გერმანია

გერმანელ ქალს, რომელიც 15 წლის ასაკში სირიაში დაეშს შეუერთდა, ორწლიანი პირობითი სასჯელი მიესაჯა ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით. თუმცა გაათავისუფლეს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ხელშეწყობისა და თანამონაწილეობის ბრალდებიდან. ლეონორა მესინგმა პირობა დადო, რომ რეინტეგრირდება საზოგადეობაში.

ბელგია

ბელგიამ საერთაშორისო ზეწოლის ფონზე, ოფიციალური პირების გუნდი გაგზავნა ჩრდილოეთ სირიის ბანაკებში, რათა დაეშის მებრძოლების ოჯახების რეპატრიაციის საკითხი განიხილონ. განცხადება ამის შესახებ 16 მაისს გაკეთდა. საწყის ეტაპზე, საკონსულო მისიას ევალება სირიის ბანაკებში მყოფი ბელგიის მოქალაქეების რაოდენობის შეფასება, ხოლო შემდეგ მონაცემები გაანალიზდება და რეპატრიაციის საკითხი განიხილება.

შვეიცარია

ახალგაზრდა ქალს ბრალი წაუყენეს 2020 წელს „ჯიჰადისტური მოტივით“ დანით თავდასხმაში, რის შედეგადაც ორი ადამიანი დაიჭრა. პროკურორის თქმით, ქალი მაღაზიაში შემთხვევით შერჩეულ მსხვერპლებს დაესხა თავს მათი მოკვლის მიზნით, რათა გაევრცელებინა ტერორი დაეშის სახელით. გამომძიებლების თქმით, ეჭვმიტანილს სოციალური მედიაში „შეუყვარდა“ ჯიჰადისტი მებრძოლი სირიაში და მასთან წასვლა სცადა, მაგრამ დააკავეს თურქეთ-სირიის საზღვარზე და დააბრუნეს სირიაში. დაბრუნების შემდეგ, იგი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოათავსეს.

თურქეთი

18 მაისს, თურქეთის საჰაერო თავდასხმამ ქურთისტანის მუშათა პარტიის სამი ტერორისტი გაანეიტრალა. ეროვნული თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ტერორისტები გარას რეგიონში თურქეთის ეროვნული სადაზვერვო სამსახურის და სამხედროების ერთობლივი ოპერაციის შედეგად დააკავეს.

თურქეთმა დააკავა თვითმკვლელი ტერორისტი, რომელიც კავშირში იყო ტერორისტულ ორგანიზაცია დაეშთან. იგი სირიის მოსაზღვრე, თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინცია ურფაში თავდასხმას გეგმავდა. ბაშარ ალ-მიჟენმა (კოდური სახელით აბი ენეს ალ-კათანი) უკვე აღიარა დანაშაული.

ისრაელი

ისრაელის თავდაცვის ძალების, უსაფრთხოების სააგენტოსა და დასავლეთ სანაპიროს სასაზღვრო პოლიციის მიერ ოთხშაბათს ღამით ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი 13 პირი იქნა დაკავებული. ხუთი მათგანი ჰებრონში დააკავეს ტერორისტულ საქმიანობაში

მონაწილეობისა დ აიარაღის შენახვის ბრალდებით, ორი ძებნილი პირი ბეიტ რიმაში დააკავეს, სადაც ისრაელის ძალებმა იპოვეს M-16-ის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა. აღნიშნულ ოპერაციას პალესტინელებსა და ისრაელის თავდაცვის ძალებს შორის შეტაკება მოჰყვა.

ლიბანი

ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტმა 19 მაისს გამოსცა ახალი სანქციები ჰეზბოლასთან დაკავშირებით, რომელშიც მოხვდა ლიბანელი ბიზნესმენი და ირანის მიერ მხარდაჭერილი ჯგუფის ფინანსური ფასილიტატორი ალმად ჯალალ რედა აბდალა და მისი კომპანიები.

სირია

ალ-ჰოლის ბანაკში ნელი ტემპით მიმდინარე რეპატრიაციის პროცესის პარარელურად ერაყელების მკვლელობები გრძელდება. მრავალი ქალი იპოვეს თავში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებით, ზოგიერთს კი თავი მოჰკვეთეს. ბავშვები უსაფრთხოების ძალების მიერ ბანაკში ჩატარებული ოპერაციების დროს დახოცეს. ბანაკი ქურთების ხელმძღვანელობით არსებული ავტონომიური ადმინისტრაციას ექვემდებარება.

იემენი

ჰონკონგის დროშის ქვეშ მცურავ ხომალდ „ლაკოტა“-ს იემენის სანაპიროსთან თავს დაესხნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული მებრძოლები. მებრძოლებმა, დაახლოებით, 20 გამაფრთხილებელი გასროლა განახორციელეს.

ეგვიპტე

პანარაბული გაზეთი, „ალ არაბი ალ ჯადიდი“(Al-Araby Al-Jadeed) 18 მაისის გამოცემაში ავრცელებს ინფორმაციას 18 წლამდე ასაკის ბავშვების რეკრუტირების პროცესის შესახებ პროსამთავრობო მილიციებისთვის საბრძოლველად სინის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც დაეში ოპერირებს. ინტერნეტში სხვადასხვა პლატფორმაზე გავრცელდა ფოტო და ვიდეომასალა, სადაც ბავშვები შეიარაღებული ტომობრივი ფორმირებების შემადგენლობაში იარაღს ატარებენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი უკვე მონაწილეობენ სამხედრო ოპერაციებში ქალაქ რაფასა და შეიხ ზუვეიდში.

მალი

მალის სამხედრო მთავრობის მიხედვით, ქვეყანა ტოვებს მრავალეროვნულ სამხედრო ძალებს დასავლეთ აფრიკის საჰელის რეგიონში, რომელიც ებრძვის შეიარაღებულ აჯანყებას. G5 საჰელის ძალებმა, რომელშიც შედის ჯარები ნიგერიდან, ჩადიდან, ბურკინა-ფასოდან და მავრიტანიიდან, მუშაობა 2017 წელს დაიწყო. მალის სამხედრო მთავრობამ აღნიშნული

გადაწყვეტილების მიზეზად შეიარაღებული ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში პროგრესის ნაკლებობა და მალიში ბოლო შეხვედრების წარუმატებლობა დაასახელა.

ნიგერია

პრეზიდენტმა მუჰამადუ ბუჰარიმ ხუთშაბათს მიიღო სამი კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ნიგერიაში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერებას.

მოზამბიკის რესპუბლიკა

მოზამბიკის პარლამენტმა ხუთშაბათს დაამტკიცა ახალი ანტიტერორისტული კანონი, რომელიც აწესებს მკაცრ პატიმრობას მსჯავრდებულ ჯიჰადისტებზე და ყველაზე, ვინც ავრცელებს დეზინფორმაციას ქვეყანაში არსებული არეულობის შესახებ. ზომებს, რომლებიც ითვალისწინებს 24 წლამდე თავისუფლების აღკვეთას „ტერორისტულ“ დანაშაულებში დამნაშავეთათვის, ფართო მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ ოპოზიცია შიშობს, რომ დეზინფორმაციის შესახებ დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნას მედიის დარბევისთვის.

პაკისტანი

14 მაისს, პეშავარში, კონტრტერორისტული დეპარტამენტისა (CTD) და უსაფრთხოების ძალების მიერ ერთობლივი სადაზვერვო ოპერაციის შედეგად კუჩა რისალდარის (Kucha Risaldar) მეჩეთზე მიმდინარე წლის მარტში მომხდარი ტერორისტული თავდასხმის სავარაუდო ორგანიზატორი, ჰასან შაჰი/არმან შაჰი თავის თანამზრახველთან ერთად დააკავეს.

პაკისტანის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ კვირას, 15 მაისს, ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში შეიარაღებული პირების თავდასხმის შედეგად დაიღუპა სულ მცირე რვა ადამიანი, მათ შორის უსაფრთხოების ძალების წევრები, ბავშვები და რამდენიმე ადამიანი სიქების უმცირესობის ჯგუფიდან. ყველაზე სასიკვდილო თავდასხმა მოხდა ჩრდილოეთ ვაზირისტანში, ხეიბერ პახტუნხვას პროვინციაში, სადაც დაიღუპა სამი ჯარისკაცი და სამი ბავშვი 4-დან 11 წლამდე.

ინდოეთი

ხუთშაბათს ინდოეთის სასამართლომ ტერორიზმის ბრალდებით გაასამართლა ქაშმირის სეპარატისტების ლიდერი. სასჯელი სიკვდილით დასჯას ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მუჰამედ იასინ მალიქს ბრალი ედება ტერორისტულ აქტებში, თანხების უკანონო მოპოვებაში, ტერორისტული ორგანიზაციის წევრობასა და დანაშაულებრივ შეთქმულებასა და ამბოხში. მოსამართლემ 25 მაისს დანიშნა ორივე მხარის არგუმენტების მოსმენა განაჩენის გამოტანის მიზნით.

ავღანეთი

ავღანეთის თალიბანმა შუამავლის ფუნქცია შეითავსა პაკისტანსა და ადგილობრივ პაკისტანელ თალიბანს შორის დროებითი ცეცხლის შეწტვეტის შესახებ ქაბულში გამართული მოლაპარაკებების ფარგლებში. როგორც თალიბანის სპიკერმა აღნიშნა, მოლაპარაკებების დროს, გარდა მნიშვნელოვანი პროგრესისა მომიჯნავე საკითხებში, მხარეები შეთანმხდნენ ცეცხლის დროებით შეწყვეტაზეც. ასევე დადასტურდა, რომ ცეცხლი 30 მაისს შეწყდება.

ინდონეზია

14 მაისს, ინდონეზიაში, Densus 88-ის კონტრტერორისტულმა ჯგუფმა რეიდების დროს ორ ათეულზე მეტი ადამიანი დააკავა, რომლებმაც, როგორც ირკვევა, დაეშში გაწევრიანდნენ, ზოგიერთ მათგანს კი ბაიათი ჰქონდა გამოცხადებული დაეშის ყოფილი ლიდერის, აბუ ალ-ჰასან ალ-ჰასემ ალ ყურაიშის მიმართ. 22 ეჭვმიტანილის დაკავება ცენტრალურ სულავესში იმ რაიონში მოხდა, რომელსაც ძალადობისა და ექსტრემიზმის ხანგრძლივი ისტორია აქვს. აღნიშნული პირები ასევე დაკავშირებულნი იყვნენ აღმოსავლეთ ინდონეზიის მუჯაჰიდების (MIT) ქსელთან. ისინი ორგანიზაციას საბრძოლო მასალის მიწოდებითა და მათი საქმიანობის დაფარვით ეხმარებოდნენ. დანარჩენი ორი ეჭვმიტანილი კუნძულ ჯავასა და კალიმანტანში დააკავეს.